



საერთო სამოქალაქო მოძრაობა  
მრავალეროვანი საქართველო

# საინფორმაციო ბიულეტენი

II

ვიდეო

ინკლუზივისთვის

15 სექტემბერი-16 ოქტომბერი

2017 წელი



2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე სამონიტორინგო პროგრამა ხორციელდება საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის (NED), ფონდი „ღია საზოგადოება საქარველოს“ (OSGF), საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოსა და შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.



Kingdom of the Netherlands



National Endowment  
for Democracy

Supporting freedom around the world



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



British Embassy  
Tbilisi



REGERINGSKANSLIJ

საინფორმაციო ბიულეტენი მომზადდა და გამოიცა საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ მიერ, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის (NED), ფონდი „ღია საზოგადოება საქარველოს“ (OSGF), საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოსა და შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებებს.

## სარჩევი:

1. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - „მრავალეროვანი საქართველოს“ სამონიტორინგო პროგრამა
2. წინასაარჩევნო პერიოდი - პრაქტიკა, სიახლეები და გამოწვევები
3. ჩართულობა ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განსავითარებლად - „მრავალეროვანი საქართველოს“ პროგრამული აქტივობები

## საკონტაქტო ინფორმაცია:



დ. უზნაძის ქ.117, II სად საქართველო, თბილისი, 0102



<http://pmmg.org.ge/>



[pmmg@pmmg.org.ge](mailto:pmmg@pmmg.org.ge)



<https://www.facebook.com/PMMG.ORG/>



032 2 96 21 25

# 1. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - „მრავალეროვანი საქართველოს“ სამონიტორინგო პროგრამა

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ ახორციელებს წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და შემდგომი პერიოდის მონიტორინგს: რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, წალკის, დმანისის, თეთრიწყაროს, ბოლნისის (ქვემო ქართლი), ახალქალაქის, ახალციხის, ნინოწმინდის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის(სამცხე-ჯავახეთი), ახმეტის, საგარეჯოს (კახეთის), გორის, ქარელის, ხაშურისა და კასპის (შიდა ქართლის) საარჩევნო ოლქებში.



- |  |   |   |
|--|---|---|
| <span style="color: #00AEEF;">■</span> #11 საგარეჯო  | <span style="color: #00AEEF;">■</span> #26 თეთრიწყარო | <span style="color: #A67C52;">■</span> #38 ადიგენი    |
| <span style="color: #C00000;">■</span> #18 ახმეტა    | <span style="color: #F080F0;">■</span> #30 კასპი      | <span style="color: #FFFF00;">■</span> #39 ასპინძა    |
| <span style="color: #FFD700;">■</span> #21 გარდაბანი | <span style="color: #008080;">■</span> #32 გორი       | <span style="color: #FFA500;">■</span> #40 ახალქალაქი |
| <span style="color: #DC143C;">■</span> #22 მარნეული  | <span style="color: #483D8B;">■</span> #33 ქარელი     | <span style="color: #008080;">■</span> #41 ნინოწმინდა |
| <span style="color: #FF8C00;">■</span> #23 ბოლნისი   | <span style="color: #0000FF;">■</span> #35 ხაშური     | <span style="color: #9ACD32;">■</span> #20 რუსთავი    |
| <span style="color: #9370DB;">■</span> #24 დმანისი   | <span style="color: #FF00FF;">■</span> #36 ბორჯომი    |   |
| <span style="color: #FF6347;">■</span> #25 წალკა     | <span style="color: #008000;">■</span> #37 ახალციხე   |   |

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები წინასაარჩევნო პროცესებზე მონიტორინგს აწარმოებენ შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში:

- ზოგადი პოლიტიკური და ელექტორალური ქონტექსტი;
- ეთნიკურ უმცირესობათა ცნობიერების დონე საარჩევნო სუბიექტების პოლიტიკური პროგრამების, საარჩევნო წესებისა და პროცედურების შესახებ;
- პოლიტიკური სუბიექტების მიერ, საარჩევნო კამპანიის რეალიზების ასპექტები;
- პოლიტიკური სუბიექტების საპროგრამო დოკუმენტებში უმცირესობათა პრობლემატიკის ასახვის პრაქტიკა;
- საარჩევნო კამპანიის რეალიზების პროცესში პოლიტიკური სუბიექტების მიერ ეთიკური (მათ შორის ეთნიკურ, ან რელიგიურ ნიადაგზე სიძულვილის ენის გამოვლენის პრაქტიკა) სტანდარტების დაცულობის პრაქტიკა;
- პოლიტიკური სუბიექტების მიერ განხორციელებულ საქმიანობაში (მათ შორის სტრუქტურებსა და პოლიტიკურ ნომინაციებში - კანდიდატები) ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის პრაქტიკა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესი;
- საარჩევნო მიზნით ინსტიტუციური, ადმინისტრაციული, რესურსების გამოყენება;
- საარჩევნო მიზნით მარეგულირებელი, ადმინისტრაციული, რესურსების გამოყენება;
- საარჩევნო მიზნით აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;
- საარჩევნო მიზნით ფინანსური, ადმინისტრაციული, რესურსების გამოყენება.

წინასაარჩევნო პროცესის სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები მუდმივ რეჟიმში აკვირდებიან მიზნობრივი რეგიონების შესაბამის საარჩევნო ოლქებში არსებულ ვითარებასა და ელექტორალური ხასიათის ტენდენციებს, ყველა ზემოთ აღწერილ საკითხებთან მიმართებაში.

2. წინასაარჩევნო  
პერიოდი -  
პრაქტიკა,  
სიახლეები და  
გამოწვევები

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში მიმდინარე სადამკვირვებლო პროგრამის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი ხასიათის ინციდენტები, ტენდენციები და გამოწვევები:

**თეთრიწყაროს საარჩევნო ოლქი**



*ამომრჩეველთა რაოდენობა: 20 298*

*საარჩევნო უბნების რაოდენობა: 41*

*დარეგისტრირებული მერობის კანდიდატების რაოდენობა: 6*

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს, საერთო სარმოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიაში, საკრებულოს არჩევნებისათვის, საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პარტიული სიით დარეგისტრირდა შალვა მეგულაშვილი, რომელიც გახლავთ 19 წლის, დაბადებული 11.10.1997 წ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს პასიური ამომრჩევლის კრიტერიუმებს, რასაც ზემოთ ხსენებული პიროვნება არ აკმაყოფილებს.



აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საერთო სარმოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანმა საქართველომ“ წერილობით მიმართა თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიას, რათა ამ უკანასკნელს მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება არსებული კანონმდებლობის დაცვით. აღნიშნული ფაქტის თაობაზე ასევე ოფიციალურად ეცნობა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას.



**9 ოქტომბერს**, თეთრიწყაროს საარჩევნო ოლქში საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა გარემოება, რის შესაბამისადაც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საარჩევნო სუბიექტის “ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველოს“ მერობისა და საკრებულოს მაჟორიტარობის 17 კანდიდატმა განცხადებით მიმართა თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიას მათი კანდიდატურების მოხსნის მოთხოვნით, როგორც მაჟორიტარობის ასევე პარტიული სიის კანდიდატურობიდან. აღნიშნული ფაქტი დაადასტურა თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიამ.

„მრავალეროვანი საქართველოს“ ხელთ არსებული ინფორმაციით კანდიდატურების მოხსნა განპირობებული იყო უცხოეთში სამუშაოდ და სასწავლებლად კანდიდატთა გამგზავრების მოტივით, რაც თავის მხრივ ეჭვებს ბადებს კანდიდატთა გულწრფელობასთან მიმართებაში.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღებამდე რამოდენიმე დღის განმავლობაში „მრავალეროვანი საქართველო“ სწავლობდა ოლქში არსებულ ტენდენციებს „ევროპული საქართველოს“ წევრებზე ზეწოლის შესაძლო ფაქტებთან მიმართებაში. კერძოდ, ჰქონდა თუ არა ადგილი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. ვითარებაში გარკვევის საფუძველზე იკვეთება გარემოება, რის შესაბამისადაც არ დგინდება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტი.

უფრო მეტიც, „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატურების მოხსნის რეალური მიზეზი გახლავთ

მათზე განხორციელებული ზეწოლა ერთ-ერთი, (არასახელისუფლებო) საარჩევნო სუბიექტის მხრიდან.

აღნიშნული გარემოების თაობაზე „მრავალეროვანმა საქართველომ“ მიმართა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას, რათა კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს კანდიდატთა მიერ მასიურად კანდიდატურების მოხსნის გარემოებები და უზრუნველყოს შესაბამისი რეაგირების მოხდენა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კომისიის მხრიდან აღნიშნულ ინციდენტს მოყვა რეაგირება, რის შესაბამისადაც 10 ოქტომბერს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის პოლიციის სამმართველოში გამოცხადნენ „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენლები ზემოაღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში გასაუბრების მიზნით.

### მარნეულის საარჩევნო ოლქი



ამომრჩეველთა რაოდენობა: 98 280

საარჩევნო უბნების რაოდენობა: 87

დარეგისტრირებული მერობის

კანდიდატების რაოდენობა: 8

მიმდინარე წლის 23 სექტემბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ.სადახლოში ადგილი ქონდა ინციდენტს საარჩევნო სუბიექტების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსა“ და “ზაქრამე, უგულავა- ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის.

კერძოდ, როვმან ისკანდეროვი (მარნეულის გამგეობის თანამშრომელი) და მუჰამედ ალი ბეკდიევი („ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი), ალი მამედოვი და აჰმედ იმამყულიევი (ევროპული საქართველოს მაჟორიტარობის კანდიდატები) იმყოფებოდნენ სოფ. სადახლოში, გასვენებაში, სადაც სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა ერთი მხრივ როვმან ისკანდეროვს, მუჰამედ ალი ბეკდიევსა და მეორე მხრივ ალი მამედოვს შორის.



შელაპარაკების მოტივი გახლდათ მიცვალებულის ნათესავების მხრიდან გამოთქმული უკმაყოფილება, გასვენებაში უცხო პირთა ყოფნის გამო. შელაპარაკება გადაიზარდა დაპირისპირებაში, რის შედეგადაც ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი პირი - ალი მამედოვი დაზიანებებით გადაიყვანეს საავადმყოფოში.



*მასობრივი ინფორმაციის* საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის სადახლოს # 2 საჯარო სკოლის დირექტორის მოწოდების შესაბამისად, საჯარო სკოლის მასწავლებლები და უფროსკლასელები გაემგზავრნენ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ გამართულ ღონისძიებაზე დასასწრებად.

ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ მიმდინარეობს ინფორმაციის გადამოწმება და მოკვლევა, მათ შორის სავარაუდო მოწმეებთან შეხვედრის ორგანიზება და მათი გამოკითხვა.

**ახალქალაქის საარჩევნო ოლქი**



ამომრჩეველთა რაოდენობა: 38 148  
საარჩევნო უბნების რაოდენობა: 70  
დარეგისტრირებული მერობის კანდიდატების რაოდენობა: 6

**28 სექტემბერს** „ქართულმა ოცნებამ - დემოკრატიულმა საქართველომ“ ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შესაბამის მუნიციპალიტეტებში მერობის კანდიდატები წარადგინა.

წარდგენის ღონისძიება საღამოს 19:00 საათზე ესტარდის მომღერლების კონცერტით დაიწყო. 20:00 საათზე საქართველოს პრემიერმინისტრმა, ბატონმა გიორგი კვიციანიძემ, ადგილობრივ მოსახლეობას რეგიონის ექვსი მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი წარუდგინა.



საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ღონისძიებაზე დასასწრებად ახალქალაქიდან და ნინოწმინდიდან ჩავიდნენ საჯარო მოხელეები (გამგეობის თანამშრომლები), რომლებმაც ახალციხეში გამგზავრების მიზნით ახალქალაქის გამგეობასთან დაიწყეს შეკრება 17:00 საათისათვის. აღნიშნული მიუთითებს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, იმდენად რამდენადაც საჯარო მოხელეებმა სააგიტაციო ხასიათის ღონისძიებაზე დასწრების მიზნით სამუშაო საათზე დაიწყეს მოხილიზება.

გარდა აღნიშნულისა, მხარდამჭერთა მონათხრობით ირკვევა, რომ მათი გამგზავრების ორგანიზებას გამგეობა უზრუნველყოფდა.

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს, ახალქალაქის მუნიციპალურ ცენტრში, კერძოდ კი გამგეობის შენობის წინ 17:00 საათზე საარჩევნო სუბიექტის - „პატრიოტთა ალიანსის“ რეგიონულმა ოფისმა შეხვედრა გამართა ადგილობრივ ამომრჩევლებთან, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი გამგეობის თანამშრომლები.

### დმანისის საარჩევნო ოლქი



მომრჩეველთა რაოდენობა: 22 582

საარჩევნო უბნების რაოდენობა: 50

დარეგისტრირებული მერობის

კანდიდატების რაოდენობა: 5

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს საარჩევნო სუბიექტის - „შენების მოძრაობის“ მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რის შესაბამისადაც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას ყურანზე დაფიცებით მხარდაჭერას აიძულებდა.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, „მრავალეროვანმა საქართველომ“ განახორციელა მოკვლევა, რის შედეგადაც გამოიკვია, რომ საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციის უშუალო მტკიცებულებები არ არსებობს. უფრო მეტიც, არცერთ დაინტერესებულ პირს მსგავსი ხასიათის მტკიცებულება არ გააჩნია.

3 ოქტომბერს, „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის მოქმედმა გამგებელმა, გოგი ბარბაქაძემ, განათავსა თავისი საარჩევნო ბანერი ქ. დმანისში კომპანია „სოკარის“ ბენზინ გასამართ სადგურთან არსებულ სარეკლამო ბილბორდზე.



აღნიშნულის თაობაზე “მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანმა დამკვირვებელმა წერილობით მიმართა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობას ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, რათა დადგინდეს თუ ვის ბალანსზე ირიცხება ზემოთ ხსენებული ბილბორდი და არის თუ არა შესაბამისი ნებართვა გაცემული ბანერის განსათავსებლად. მიუხედავად აღნიშნულისა, გამგეობის მხიდან არ იქნა მიღებული შესაბამისი ახსნა განმარტება. შესაბამისად, „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ დმანისის მუნიციპალიტეტში და შეხვდნენ გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს. გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, რომ გამგეობის მხრიდან არ იყო შესაბამისი ნებართვა გაცემული ბანერის განსათავსებლად. გამომდინარე აღნიშნულიად, „მრავალეროვანი საქართველომ“, მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს, თხოვნით მიმართა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას, რათა შეისწავლოს ზემოთ მოყვანილი გარემოება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს სათანადო რეაგირება.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არჩევნების თარიღის ოფიციალური გამოცხადებისთანავე, დმანისის საარჩევნო ოლქში, შექმნილი იყო არაჯანსაღი საარჩევნო გარემო. აღნიშნულთან დაკავშირებით „მრავალეროვანმა საქართველომ“ განცხადება გააკეთა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე მიმდინარე წლის 4 სექტემბერს და მოითხოვა დმანისში კომისიის გასვლითი სხდომის ჩატარება. მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე ორგანიზაციას არ მიუღია შეტყობინება კომისიის მხრიდან ზემოაღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

### პოლიტიკური კამპანია

არჩევნებზე სამონიტორინგო პროგრამის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში წინასაარჩევნო პერიოდის ანალიზი მკაფიოდ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ძირითადად აქტიურ პოლიტიკურ კამპანიას აწარმოებენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ევროპული საქართველო“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „შენების მოძრაობა“.

პოლიტიკური კამპანია ძირითდად გამოიხატება ადგილობრივ ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზებით, პოლიტიკური საპროგრამო დოკუმენტებისა და სამომავლო ხედვების პრეზენტაციით, მერობისა და საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენით, ისევე როგორც მედია ბრიფინგების ჩატარებით.

ამომრჩევლებს წარედგინება საარჩევნო სუბიექტების სამომავლო ხედვები, ისევე როგორც ხდება მათი მოსაზრებების გაზიარება სხვადასხვა მიმართულებით საჯარო პოლიტიკის შესაბამისი ინციციატივების ფორმირებისა და რეალიზების საკითხებთან მიმართებაში. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ შეხვედრების ფორმატში იხილება ეთნიკურ უმცირესობათა წინაშე არსებული პრობლემები, გამოწვევები და სპეციფიური საჭიროებები და შესაბამისად აქცენტები კეთდება მათი გადაწყვეტის კონკრეტულ გზებსა და მეთოდებზე.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზემოთ ხსენებული საარჩევნო სუბიექტებიდან განსაკუთრებით აქტიურ პოლიტიკურ კამპანიას აწარმოებს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“. რაც შეეხება დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებს, ისინი ან საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი სამონიტორინგო პროგრამის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში, ან მათი პოლიტიკურ-ელექტორალური საქმიანობა საკმაოდ უფერულია. შესაბამისად, ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ამომრჩეველი მოკლებულია მრავალფეროვანი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა სრულფასოვანი პოლიტიკური და ელექტორალური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით კვლავაც სახეზეა რიგი გამოწვევები, რაც თავის მხრივ საჭიროებს პოლიტიკური სუბიექტებისა და კანდიდატების მხრიდან რიგი ღონისძიებების რეალიზებას.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საარჩევნო სუბიექტების მხოლოდ მოკრძალებული რაოდენობა აწარმოებს პოლიტიკურ კამპანიას პროექტის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში. შედეგად, დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე სხვა პოლიტიკური სუბიექტების შესახებ.

შესაბამისად, პოლიტიკური სუბიექტების ცენტრალური ოფისები ფართოდ უნდა ჩაერთონ ადგილებზე მოქმედი წარმომადგენლობების საქმიანობათა მონიტორინგის პროცესში, რათა დადგინდეს, თუ რამდენად ეფექტიანია მათი საქმიანობა





მოსახლეობისათვის პარტიული საპროგრამო დოკუმენტების გაცნობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა აწარმოონ აქტიური კომუნიკაცია მუდმივ რეჟიმში ადგილობრივ ამომრჩევლებთან, რათა შემსუბუქდეს მხარეთა შორის ურთიერთ გაუცხოების ტვირთი, ისევე როგორც ხელი შეეწოს ადგილობრივ მოსახლეობაში პოლიტიკური სპექტრისა და ზოგადად პოლიტიკური პროცესებისადმი ნდობის ამაღლებას.

ერთ-ერთი ფაქტორი, რაც განაპირობებს ამომრჩეველთა მხრიდან პოლიტიკური სუბიექტისა, თუ კანდიდატისადმი ნდობის გამოვლენას გახლავთ ეთნიკურ უმცირესობათა თემის წინაშე არსებული კონკრეტული წუხილების, საჭიროებებისა და გამოწვევების ფართოდ ასახვა საპროგრამო დოკუმენტებში. აღნიშნული ერთი მხრივ საჭიროებს პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ადგილობრივი რელობის სრულფასოვნად აღქმასა და გააზრებას, ხოლო მეორე მხრივ ჯეროვანი ყურადღების დათმობას წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში ეთნიკურ უმცირესობათა წინაშე არსებული პრობლემატიკის ფართოდ გაშუქებისადმი.

პოლიტიკურ პროცესებზე მესაკუთრეობის გრძნობის წახალისების მიზნით საჭიროა ადგილობრივი ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა პოლიტიკოსების ფართო ინტეგრაცია პარტიულ სტრუქტურებში, იმდენდაც რამდენადაც ისინი უკეთ არიან ინფორმირებულნი ლოკალური პრობლემების თაობაზე, ასევე აქვთ ადგილობრივი, ისევე როგორც რეგიონული განვითარების პროცესში მონაწილეობის მიღების სურვილი.

ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა წინაშე არსებული ენობრივი ბარიერის პრობლემის გათვალისწინებით საჭიროა პოლიტიკური სუბიექტების საპროგრამო დოკუმენტები ითარგმნოს უმცირესობათა ენაზე. გარდა აღნიშნულისა, საჭიროა საპროგრამო დოკუმენტების მარტივი და ადვილად აღქმადი ფორმებით ამომრჩევლებისათვის მიწოდება (მაგალითად ბუკლეტები, ლიფლეტები და სხვა).

არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკური სუბიექტების თანამშრომლობა მედიასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ხელი შეეწყოს პარტიათა/კანდიდატთა შორის დიალოგს და საგნობრივ დისკუსიებს.



**ეთნიკური უმცირესობების ელექტორალური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა**

ეთნიკურ უმცირესობათა ელექტორალური ჩართულობის ხელშეწყობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას როგორც სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორის, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციისათვის. ამ მიმართულებით „მრავალეროვანმა საქართველომ“ კომპლექსურად შეისწავლა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ეთნიკური უმცირესობების მიმართ განხორციელებული საქმიანობა.

2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გატარდა რიგი ღონისძიებები.



ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებული საინფორმაციო ვიდეო რგოლი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომელიც გადაიცემა რეგიონული ტელევიზიების ეთერით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყო სპეციალური ვიდეო რგოლის მომზადება ეთნიკური

უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით, ამომრჩევლებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებს, ამომრჩეველთა ერთიანი სიაში ([voters.cec.gov.ge](http://voters.cec.gov.ge)) საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეუძლიათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მობილური



ტელეფონის/პლანშეტის გამოყენებით („ანდროიდი“ და IOS სისტემაზე მორგებული) და სწრაფი გადახდის ტერმინალის საშუალებით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდის სპეციალურ სექციაში „ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობებისთვის“ განთავსებულია საარჩევნო დოკუმენტაცია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2017 წლის, 24 აპრილიდან 31 მაისის პერიოდში, დაიწყო პროექტის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ პირველი ეტაპის განხორციელება.

პროექტი ითვალისწინებდა 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა ცნობიერების დონის ამაღლებას, საოლქო საარჩევნო კომისიასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაციას, ცნობადობის ზრდასა და იმიჯის განმტკიცებას, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესებას, გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობას.

პროექტი საოლქო საარჩევნო კომისიების მონაწილეობით განხორციელდა საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. 73 საარჩევნო ოლქში გაიმართა 450 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 48 174-მა ამომრჩეველმა.

პროექტის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ მეორე ეტაპი „იპოვე შენი თავი – იპოვე შენი უბანი“ განხორციელდა 9 სექტემბრიდან – 1 ოქტომბრის პერიოდში 73 საარჩევნო ოლქში, მათ შორის თბილისში (20 აქცია).

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაწეული იქნა ღირებული ძალისხმევა რათა საუბნო საარჩევნო კომისიის ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული წევრებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო საარჩევნო დოკუმენტაცია უმცირესობათა ენებზე.

კერძოდ, კომისიის მიერ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი ხასიათის საარჩევნო დოკუმენტაცია:

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია;
- კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია;
- ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები;
- საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ სუბტიტრებით.

რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა ცნობიერების დონის ამაღლებას, არჩევნების დღეს კენჭისყრის პროცესში ინფორმირებული ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის ითარგმნება (ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე) და დაიბეჭდება შემდეგი ხასიათის საარჩევნო დოკუმენტაცია:

- საარჩევნო ბიულეტენი;
- ამომრჩეველთა ერთიანი სია (კედელზე გასაკრავი და სამაგიდო);
- ბიულეტენის შევსების წესი;
- პროცედურების ამსახველი პოსტერი.

აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა ელექტორალური ჩართულობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე რეაგირების მდგრადი და გრძელვადიანი მექანიზმების ამოქმედების მიზნით 2017 წელს გამოცხადდა საგრანოტო კონკურსები.

კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა ეთნიკური უმცირესობების ხელშეწყობა 2017 წელს გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების პროცესში. შესაბამისად, ცენტრალურ



საარჩევნო კომისიასთან არსებულმა სწავლების ცენტრმა დააფინანსა 8 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი. პროექტებმა სრულად მოიცავეს საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტები. პროექტების საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 181 568 ლარი.

და ბოლოს, 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის, 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში შექმნილია 3634 საარჩევნო უბანი, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებს მუკუთვნებული ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 12 საოლქო საარჩევნო კომისიაში შექმნილია - 345 საარჩევნო უბანი, მათ შორის: ქართულ-აზერბაიჯანული – 208 უბანი, ქართულ-სომხური – 133 უბანი და ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული – 4 უბანი.

3. ჩართულობა ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განსავითარებლად - „მრავალეროვანი საქართველოს“ პროგრამული აქტივობები

ჩართულობითი დემოკრატიის, მათ შორის საარჩევნო გარემოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „მრავალეროვანი საქართველო“ აქტიურად აწარმოებს დიალოგს საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების საკითხებით დაინტერესებულ სხვადასხვა მხარეებთან, როგორც საჯარო, ასევე სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორის ფორმატში.

აღნიშნულ კონტექსტში, „მრავალეროვანი საქართველოს“ მიზანია, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მხარეთა სრულფასოვანი ინფორმირება 2017 წლის საარჩევნო ციკლისათვის ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა სპეციფიური ელექტორალური საჭიროებებისა და გამოწვევების თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ, გასწიოს ღირებული ადვოკატირება არსებულ გამოწვევებზე დროული, ჯეროვანი და მდგრადი რეაგირების მოხდენის მიზნით.

**ჩართულობა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან**

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარემ - არნოლდ სტეფანიანმა, მონაწილეობა მიიღო ქვევის (ეთიკის) კოდექსის ხელისმოწერის ცერემონიაში.





ხელი მოეწერა ქცევის (ეთიკის) კოდექსს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის, რომელიც შემუშავდა 21 ოქტომბრის არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციათა (31 ორგანიზაცია) წარმომადგენლების პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქცევის (ეთიკის) კოდექსი პირველად შემუშავდა 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის და მას ხელი მოაწერეს, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ასევე 23 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

„მრავალეროვანი საქართველო“ ტრადიციულად მონაწილეობას იღებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან მოქმედ ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მუშაობაში (TWG), რომელიც შექმნილია საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს შორის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მორიგ შეხვედრაში, სადაც ჯგუფის მონაწილეებს გააცნო ორგანიზაციის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ტენდენციები და მიგნებები, ისევე როგორც ისაუბრა არჩევნების დღეს სამონიტორინგო პროგრამის დაფარვის არეალსა და სხვა სახის ლოჯისტიკურ თუ მეთოდოლოგიურ თავისებურებებზე.

გარდა აღნიშნულისა, მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს, „მრავალეროვანი საქართველოს“ სადამკვირვებლო პროგრამის კოორდინატორმა მონაწილეობა მიიღო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართულ შეხვედრაში. შეხვედრა გაიმართა სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრებთან, რომელთაც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გაუზიარა დეტალური ინფორმაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა ელექტორალური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით გაწეული საქმიანობების შესახებ.



**არჩევნების დღის სამონიტორინგო პროგრამის საპრეზენტაციო-საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და მოკლევადიან დამკვირვებელთა რეკრუტირება**

მიმდინარე წლის სექტემბერის დასაწყისში საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენლებმა გასვლითი ხასიათის შეხვედრები ჩაატარეს ნინოწმინდის, ახალქალაქის, რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, გორისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში.

შეხვედრები მიზნად ისახავდა ადგილობრივი აუდიტორიისათვის არჩევნების დღის სამონიტორინგო პროგრამის მიზნების, ამოცანებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. გარდა აღნიშნულისა, შეხვედრების თანმდევ ამოცანას მოკლევადიან დამკვირვებელთა რეკრუტირება წარმოადგენდა.

შეხვედრების ფორმატში გასაუბრება ჩატარდა სამონიტორინგო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველებთან, რომელთაც „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენლებმა გააცნეს მოკლევადიან დამკვირვებელთა უშუალო ფუნქციონირება, მოვალეობები, ისევე როგორც არჩევნების დღეს მათ მიმართ არსებული მოლოდინები.

მსგავსი ხასიათის შეხვედრა ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

**მოკლევადიან დამკვირვებელთა შესაძლებლობათა გაფართოების სატრენინგო პროგრამების რეალიზება**



2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე სადამკვირვებლო პროგრამის ფარგლებში 30 სექტემბრიდან „მრავალეროვანმა საქართველომ“ დაიწყო მოკლევადიან დამკვირვებელთა შესაძლებლობათა განვითარების სატრენინგო პროგრამების რეალიზება.

სატრენინგო პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი დამკვირვებლები აღიჭურვებიან შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, რათა არჩევნების დღეს წარმატებით გაართვან თავი მათთან დაკისრებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მონაწილეთა შესაძლებლობების განვითარებას ისეთ თემატურ მიმართულებებში როგორებიცაა: საარჩევნო წესები და პროცედურები, საარჩევნო უბნებზე დასწრების უფლების მქონე მხარეთა უფლება-მოვალეობები, ანგარიშგების მეთოდოლოგია, პროგრამის ლოჯისტიკური თავისებურებები, ელექტორალურ დარღვევებზე რეაგირების ფორმები, მათ შორის საჩივრების შედგენის მეთოდოლოგიური ასპექტები და სხვა.

სატრენინგო პროგრამას უძღვებიან „მრავალეროვანი საქართველოს“ კვალიფიცირებულ ტრენერთა გუნდი.

ტრენინგები მიმდინარეობდა თბილისში, გორში, ბაკურიანში, ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდასა და მარნეულში.

**შეხვედრები უეთოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან, ასვე უმცირესობათა საკითხებში უეთოს უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლებთან**



მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარემ არნოლდ სტეფანიანმა და არჩევნებზე სადამკვირვებლო პროგრამის კოორდინატორმა ირმა ბასილაშვილმა ორგანიზაციის ოფისში მიიღეს უეთოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები, კერძოდ მისიის ხელმძღვანელის მოადგილე

ჰარალდ იეფსენი და საარჩევნო საკითხებში ანალიტიკოსი მაშა იანუშევიჩი.

„მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენლებმა, უეთოს მისიის წარმომადგენლებს, გაუზიარეს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ საარჩევნო ოლქებში არსებული პოლიტიკური და ელექტორალური ხასიათის ტენდენციების თაობაზე.

მხარეებმა ასევე იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრაქტიკა, საარჩევნო სუბიექტების მიერ პოლიტიკური კამპანიის წამრმოების პროცესი, უმცირესობათა ელექტორალური ჩართულობის თვალსაზრისით ადგილზე არსებული ვითარება და სხვა.

„მრავალეროვანი საქართველოსა“ და ეუთოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ თანამშრომლობას, ისევე როგორც კომუნიკაციას სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის ურთიერთ გაცვლის მიზნით.

9 ოქტომბრის შეხვედრამდე არჩევნებზე სადამკვირვებლო პროგრამის კოორდინატორმა, ირმა ბასილაშვილმა, მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ კორინ იონკერთან, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ეუთო-ს ანალიტიკოსი პოლიტიკურ საკითხებში დიმაშ ალჯანოვი და ანალიტიკოსი საარჩევნო საკითხებში მაშა იანუშევიჩი.

ეუთოს წარმომადგენლები დაინტერესდნენ კონკრეტული საკითხებით, კერძოდ, როგორც პოლიტიკური, ასევე საარჩევნო მიმართულებით. საუბარი ასევე შეეხო საარჩევნო პროცესში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის რიგი ასპექტების განხილვას, ისევე როგორც არჩევნების პროცესში „მრავალეროვანი საქართველოს“ პროგრამული აქტივობების მიმოხილვას.



გარდა აღნიშნულისა, „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარემ მსგავსი ხასიათის შეხვედრა გამართა უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლებთან მარკ ფუმაგალთან და მაიკლ ანგერმანთან, სადაც მან მიმოიხილა არჩევნებზე სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი ტენდენციები, ისევე როგორც შეაფასა ელექტორალურ პროცესში უმცირესობათა ჩართულობის კონტექსტში არსებული საჭიროებები და გამოწვევები. საუბარი ასევე შეეხო არჩევნების კუთხით ორგანიზაციის სამომავლო საქმიანობას.

**შეხვედრა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან**

13 ოქტომბერს, „მრავალეროვანი საქართველოს“ ოფისში გაიმართა შეხვედრა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან.

„მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენლმა სტუმრებს გაუზიარეს ინფორმაცია არჩევნებზე სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი ტენდენციებსა და არსებული ელექტორალური გამოწვევების თაობაზე. გარდა აღნიშნულისა, NDI- გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია არჩევნების დღეს „მრავალეროვანი საქართველოს“ სადამკვირვებლო საქმიანობის შესახებ.

**შეხვედრები საარჩევნო სუბიექტებთან და თბილისის მერობის კანდიდატებთან**

საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარემ, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში, დაიწყო შეხვედრების სერია საარჩევნო სუბიექტების ლიდერებთან, რათა მათთვის გაეზიარებინა ინფორმაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე, ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი ამომრჩევლების სპეციფიური ელექტორალური წუხილების, საჭიროებებისა და მოლოდინების შესახებ.

აღნიშნულის მიზნით, შეხვედრები გაიმართა „დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველოს“, პოლიტიკური გაერთიანება „ახალი საქართველოსა“ და „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერებთან.

„მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარემ საარჩევნო სუბიექტების ლიდერებს გაუზიარა ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ საარჩევნო ოლქებში წინასაარჩევნო სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების, ტენდენციების, სიახლეებისა და გამოწვევების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, ადგილი ქონდა ზოგადი ხასიათის





მიმოიხილვას უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არსებული ელექტორალური და პოლიტიკური პროცესების თაობაზე.

შეხვედრების დასასრულს საარჩევნო სუბიექტების ლიდერებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდა არჩევნების დღეს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ საარჩევნო ოლქებში „მრავალეროვანი საქართველოს“ მოკლევადიანი სადამკვირვებლო პროგრამის დაფარვის არეალისა და საარჩევნო უბნებზე მივლინებულ დამკვირვებელთა ოდენობის თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა, საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“, „ეთნოსთაშორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრისა“ და „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის“ ერთობლივი ინიციატივითა და ძალისხმევით ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების სათემო ორგანიზაციების ლიდერების შეხვედრები ქ.თბილისის მერობის კანდიდატებთან ბატონ გიორგი ვაშაძესთან, ბატონ ალექო ელისაშვილთან და ბატონ გიორგი გუგავასთან.

შეხვედრის მსვლელობისას საუბარი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა არჩევნებში, ასევე მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამა და კანდიდატების ხედვები დედაქალაქის განვითარების კუთხით.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრების გამართვა თბილისის მერობის ყველა სხვა კანდიდატებთან, რომლებმაც გამოხატეს

სურვილი ეთნიკური უმცირესობების სათემო ორგანიზაციების ლიდერებთან შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

### მონაწილეობა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერთა შეხვედრაში

მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან გამართულ შეკრებაზე, რომელზეც განხილულ იქნა წინასაარჩევნოდ მედია გარემოსთან, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები.



## მადლობა მედია მხარდაჭერისთვის

